მწვავე ბრძოლის შედეგად

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 30 ოქტომბერი.

“ტორპედო” (ქუთაისი) “დინამო” (თბილისი) 1:1 (0:0).

“ტორპედო” ურუშაძე, სარჯველაძე, ნიშნიანიძე, სიამაშვილი, ლოსაბერიძე, კუტივაძე, წივწივაძე, ხერხაძე, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, დუნდუა.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

ტორპედოელები, კერძოდ, მათი დაცვა, ძალზე რთული ამოცანის წინაშე იმყოფებოდნენ. “დინამოს” თავდამსხმელთა წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო იყო საგანგებო ტაქტიკური გეგმის გამონახვა და საამისო საშუალებად გუნდმა აირჩია პერსონალური მეურვეობის წესი: თვითეულ ფორვარდს მჭიდროდ დარაჯობდა მცველი, რომლის დავალებას შეადგენდა არ ჩაეგდო ბურთი მეტოქისთვის. ამ ტაქტიკური მანევრის შესრულება მასპინძლებმა ძირითადად შეძლეს, თუმცა სარჯველაძისა (იგი “იჭერდა” მესხს) და წივწივაძის (იგი ეთამაშებოდა მეტრეველს) ზედმეტი “გულმოდგინების” შედეგად კ. ანძიულისს წესების დარღვევის სასტვენით ფიქსირების გარდა ხშირად უხდებოდა მათთვის სიტყვიერი მითითებების მიცემაც.

ძნელია თქმა იმისა, თუ რომელ გუნდს ჰქონდა უპირატესობა პირველ ტაიმში. ყოველ შემთხვევაში, როგორც ურუშაძეს, ისე კოტრიკაძეს, აგრეთვე ორივე გუნდის დაცვას მძიმე სამუშაო გადახდათ.

მეორე ტაიმი დაიწყო იმით, რომ ქუთაისელებმა მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, ცენტრში წამით ღიად დარჩა ჩხარტიშვილი, რომელმაც მიიღო ბურთი და ზუსტად გაგზავნა იგი კარში 1:0.

ამ გოლის გათანაბრება საჭირო იყო დაუყოვნებლივ და დინამოელებმა ეს შეძლეს 63-ე წუთზე: მესხისა და იამანიძის მიერ წამოწყებული გათამაშება ოსტატური თავური დარტყმით დაამთავრა დათუნაშვილმა 1:1.

დარჩენილ დროში ბრძოლის სიმწვავე არ დამცხრალა. ორივე გუნდი სრული შესაძლებლობებით იბრძოდა გამარჯვებისათვის, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა (ერთხელ, ბარქაიას ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა). მატჩი დამთავრდა ფრედ.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა 2:1. დინამოელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ვეკუამ და მაისურაძემ, ქუთაისელთაგან ჩხენკელმა.

ნ. ფოფხაძე (ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო”, 31 ოქტომბერი, 1964 წ.